საქართველო

4752-01-2-202602161205

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/4752
16/02/2026

ფრიად სასწრაფო

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსს
ბატონ **ლევან ჟორჟოლიანს**

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 11 თებერვალს ხელი მოეწერა „2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)" №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებას".

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)" და ამავე შეთანხმების 2023 წლის 31 ოქტომბრის №1 ცვლილების წერილ-შეთანხმება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 მარტის №5781-IIს და 2023 წლის 13 დეკემბრის №3908-XIIIმს-Xმპ დადგენილებებით, წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებაც, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ძირითადი შეთანხმებისა და №1 ცვლილების წერილ-შეთანხმების მსგავსად, ხელმოწერის შემდგომ, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარსადგენად, გიგზავნით ხსენებული წერილ-შეთანხმების ხელმოწერილი დედნის ასლს ინგლისურ ენაზე, მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანს, შეთანხმების ფურცელს, განმარტებით ბარათსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა შესაბამისი უწყებების დასკვნებს.

წერილ-შეთანხმების პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, ნინო ენუქიძე.

დანართი:
- წერილ-შეთანხმების ინგლისურენოვანი დედნის ასლი და ოფიციალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი;
- სასესხო შეთანხმების და მისი პირველი ცვლილების ინგლისურენოვანი დედნის ასლები და ოფიციალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანები;
- საქართველოს მთავრობის 2026 წლის 10 თებერვლის №318 განკარგულების ასლი;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2026 წლის 10 თებერვლის №18 ბრძანების ასლი;
- განმარტებითი ბარათი;
- უწყებების დასკვნები;
- შეთანხმების ფურცელი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი;

№ 4838
16 02 26
71

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილები.
(ჯამი: 69 გვერდი).

პატივისცემით,
გიორგი ზურაბაშვილი

მინისტრის მოადგილე - მშ.

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

11 თებერვალი 2026

N 07-04/9118

ფრიად სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

დეპონირებისა და ძალაში შესვლისთვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად გიგზავნით 2026 წლის 11 თებერვალს ხელმოწერილ 2019 წლის 9 დეკემბრის "საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)" №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების ორიგინალს ინგლისურ ენაზე მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად.

ამასთან, სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენი და მომხსენებელი იქნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, ქალბატონი ნინო ენუქიძე.

დანართი: 65 გვერდი.

პატივისცემით,

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/9118-07-04-2-202602111742

ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული ელექტრონული ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

23 იანვარი 2026

N 07-04/3443

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ვახტანგ ცინცაძეს

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება 2019 წლის 9 დეკემბრის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების ხელმოწერა.

გთხოვთ, გვაცნობოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან ვინ იქნება აღნიშნული სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენი და მომხსენებელი.

პატივისცემით,

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

8. გამსახურდიას სანაპირო №1
0108 თბილისი, საქართველო
+995 32 299 11 11
ministry@moesd.gov.ge

30 / იანვარი / 2026 წ.

KA020172590482926

№ 04/567

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, მიმდინარე წლის 23 იანვარს შემოსული, თქვენი N 07-04/3443 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) N2 ცვლილების წერილ-შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის სამინისტროდან თანამომხსენებლად წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველ მოადგილეს, ქალბატონ ნინო ენუქიძეს.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგი ცინცაძე

იუსტიციის
სამინისტრო

ვახტანგ გორგასლის ქუჩა № 24ა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 405 087
info@justice.gov.ge

21 / იანვარი / 2026 წ.

KA010196399757826

№ 618

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2026 წლის 8 იანვრის №07-04/201 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის 2019 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) № 2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ იუსტიციის სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ აქვს.

ამასთან, წარმოდგენილი ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის მიმართ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ ტიპის ხელშეკრულებების ძალაში შესვლისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რატიფიცირების სავალდებულო პირობა.

აქვე შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი საჭიროებს ტექნიკურ რედაქტირებას. კერძოდ, ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის მე-2 პუნქტის „(a)" ქვეპუნქტის თანახმად, სასესხო შეთანხმების 1.02(l) ქვეპუნქტში მითითება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (MRDI) იცვლება ინფრასტრუქტურის სამინისტროთი (MOI), თუმცა, ხსენებული ქვეპუნქტი ჩამოთვლის შემსრულებელ უწყებებს (Implementing Agency), რომლებშიც MRDI/MOI, როგორც განმახორციელებელი უწყება (Executing Agency), ვერ იქნება მითითებული. ამავდროულად, პროექტის ქართულენოვანი ტექსტის მე-2 პუნქტის „(ბ)" ქვეპუნქტში მითითებული PRF აქტივობების დასრულების ვადა (2028 წლის 30 სექტემბერი) შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურენოვან ტექსტში მოცემულ ვადასთან (2028 წლის 31 მაისი).

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე

ბექა ძამაშვილი

საქართველო

1064-01-2-202601151719

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/1064
15/01/2026

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის 8 იანვრის N 07-04/206 წერილის პასუხად, გიგზავნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას „2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ პროექტის თაობაზე.

დანართი: *წერილის შინაარსის შესაბამისად.*

პატივისცემით,
მიხეილ კეკენაძე

მ.

დეპარტამენტის უფროსი
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველო

1020-01-2-202601151407

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/1020
15/01/2026

დასკვნა
„2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ პროექტის თაობაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ პროექტი და მის მიმართ აქვს შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ და ამავე შეთანხმების 2023 წლის 31 ოქტომბრის №1 ცვლილების წერილ-შეთანხმება რატიფიცირებულია შესაბამისად საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 მარტის №5781-IIს და 2023 წლის 13 დეკემბრის №3908-XIIIმს-Xმპ დადგენილებებით, წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებაც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ძირითადი შეთანხმებისა და №1 ცვლილების წერილ-შეთანხმების მსგავსად, ხელმოწერის შემდგომ, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას;

მიზანშეწონილია, რომ ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის ქართულენოვანი თარგმანი შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურენოვან ტექსტთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების დადება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

08 იანვარი 2026

N 07-04/203

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ვახტანგ ცინცაძეს

ბატონო ვახტანგ,

გიგზავნით 2019 წლის 9 დეკემბრის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტს ინგლისურ ენაზე არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად.

გთხოვთ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოგვაწოდოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასკვნა აღნიშნული სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით.

დანართი: 45 გვერდი.

პატივისცემით,

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/203-07-04-2-202601081437

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

1, Z. Gamsakhurdia Embankment
0108 Tbilisi, Georgia
+995 32 299 11 11
ministry@moesd.gov.ge

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

12 / იანვარი / 2026 წ.

KA020163004072926

№ 09/66

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (N07-04/203, 08.01.2026წ.) წარმოდგენილი საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგი ცინცაძე

საქართველო

3211-01-2-202602031236

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/3211
03/02/2026

ფრიად სასწრაფო

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსს
ბატონ **ლევან ჟორჟოლიანს**

ბატონო **ლევან,**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2026 წლის 27 იანვრის №01/2437 წერილზე დამატებით, გიგზავნით „2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის 29 იანვრის №07-04/4910 წერილის ასლს.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

29 იანვარი 2026

N 07-04/4910

ფრიად სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის 26 იანვრის N07-04/3807 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნა ეხება „2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებას“.

პატივისცემით,

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/4910-07-04-2-202601291157

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველო

2437-01-2-202601271718

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/2437
27/01/2026

ფრიად სასწრაფო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს
ბატონ **ლევან ჟორჟოლიანს**

ბატონო **ლევან,**

გაცნობებთ, რომ იგეგმება „2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ ხელმოწერა. საქართველოს მხრიდან ზემოაღნიშნულ წერილ-შეთანხმებას ხელს მოაწერს საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ბატონი ლაშა ხუციშვილი.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, გიგზავნით ზემოხსენებული წერილ-შეთანხმების პროექტს ინგლისურ ენაზე, მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანს, შეთანხმების ფურცელს, განმარტებით ბარათსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა შესაბამისი უწყებების დასკვნებს.

ამასთან, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს ზემოაღნიშნული წერილ-შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე და ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის ბრძანების პროექტს ბატონი ლაშა ხუციშვილისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

დანართი:
- წერილ-შეთანხმების პროექტი ინგლისურ ენაზე;
- წერილ-შეთანხმების პროექტის ოფიციალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი;
- სასესხო შეთანხმების დედნის ასლი და ოფიციალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი;
- მთავრობის განკარგულების პროექტი;
- პრემიერ-მინისტრის ბრძანების პროექტი;
- უწყებების დასკვნები;
- შეთანხმების ფურცელი;
- განმარტებითი ბარათი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი.

(ჯამი: 66 გვერდი).

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 2446
27 01 20 26
68 ფურცელი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

პატივისცემით,
ლაშა დარსალია

მინისტრის მოადგილე - მ.შ.

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

08 იანვარი 2026

N 07-04/187

დასკვნა

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/187-07-04-2-202601081404

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა
QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-04/32
09/01/2026

32-04-2-202601091701

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

თქვენს 2026 წლის 8 იანვრის
N07-04/194 წერილზე

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა 2019 წლის 9 დეკემბრის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

ეკატერინე მიქაბაძე

პირველი ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

0114/თბილისი/ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1/ტელ: 2 406 406, 2 406 120/ფაქსი: 2 406 577/ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
№1, Zviad Gamsakhurdia embankment/Tbilisi 0114/Tel.: 2 406 406, 2 406 120/Fax: 2 406 577/E-mail: info@nbg.gov.ge
www.nbg.ge

ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 277 90 90
Letters@moi.gov.ge

09/01/2026

MOI N 01/22

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის 8 იანვრის N07-04/202 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N11/01; თარიღი: 08/01/2026) პასუხად, რომლითაც წარმოდგენილ იქნა საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის 2019 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი ინგლისურ ენაზე არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

დ. აღმაშენებლის გამზ. N150
0112, თბილისი, საქართველო
+995 32 243 70 01/02/03
mdf@mdf.org.ge

15 იანვარი 2026

MOI-MDF N 99-გ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა თქვენი 2026 წლის 8 იანვრის N07-04/210 წერილი, რომელიც ეხება საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის 2019 წლის 9 დეკემბრის სასესხო შეთანხმებაში (ჩვეულებრივი ოპერაციები) საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა N2 ცვლილების პროექტს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტის მიმართ გვაქვს შემდეგი შენიშვნა:

ცვლილების 2ა) პუნქტში მითითებულია სასესხო შეთანხმების ის პუნქტები, რომლებშიც სახელწოდების შეცვლის გამო „რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო“ (MRDI) უნდა ჩანაცვლდეს „ინფრასტრუქტურის სამინისტროთი“ (MOI). აღნიშნული პუნქტებიდან ერთ-ერთი - ინგლისურ ვერსიაში 1.02 (l) და ქართულ ვერსიაში 1.02 (მ) არ შეიცავს სამინისტროზე მითითებას და შესაბამისად არ მოითხოვს მსგავს ცვლილებას.

პატივისცემით,

ბექარ ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **01-01260141303**
თარიღი: **14/01/2026**

ადრესატი: ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2026 წლის 8 იანვრის N04-01260082662-01 წერილის პასუხად, რომლითაც გადმოგზავნილია 2019 წლის 9 დეკემბრის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) N2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტი ინგლისურ ენაზე არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად და რომელზეც მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დასკვნა, გაცნობებთ, რომ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ზემოთ ხსენებული სასესხო შეთანხმების N2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და კომენტარები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ანდრია ბასილაია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **80-01260142618**
თარიღი: **14/01/2026**

ადრესატი: ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მიმდინარე წლის 8 იანვრის წერილთან 07-04/188 დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდს, 2019 წლის 9 დეკემბრის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **138-138260095**
თარიღი: **09/01/2026**

ადრესატი: ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი მიმდინარე წლის 8 იანვრის N07-04/193 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ "სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს" კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა 2019 წლის 9 დეკემბრის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების პროექტის განხილვა.

შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცვლილების პროექტიდან ამოღებულ იქნას პარაგრაფ "a"-ს 1.02 სექციის "l" პუნქტი, რადგან ის არ მოისაზრებს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MOI) სახელის ცვლილებას.

პატივისცემით,

ზურაბი წიკლაური

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების
სააგენტო-უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი